ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№11 (73) თებერვალი, 2009 წელი ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკრებულოს სხდომაზე

13 თებერვალს შედგა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები, კომისიებისა და ფრაქციების საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელები.

სხდომაზე განიხილეს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისა და „ცაგერის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის 2008 წლის 18 მარტის № 185 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

სხენება დიდი დავითისა

დავით აღმაშენებლის „იმპერიაში“ იმდენი ენა ჰკიოდა, რამდენიც ტომ-თესლი იყო. მაგრამ საერთოდ სახელწოდებრივი ენა „ნიღბისიითგან დარემანდამდის“—იყო ქართული.

ქართული ენა საქართველოში უნდა სცოდნოდა ყველა—ქართველსაც და არა ქართველსაც. ეს პატივიც იყო, საქებრომაც, სინდისიც და მოვალეობაც.

* * *

ზარი მეთოხმისაი, წახდეს და დიდებაი დაშრტეს, შეუმანი უქმ იქმნეს, ყვავილოვნებაი დაჭკნეს, სხვამან მიიღოს სიპატრაი, სხუასა შეუდგნენ სპანი, მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო!

დავით აღმაშენებელი



გზა ქებმარიტებისა

„თუ გონების სიცოცხლე არის ცოდნით განათლება, ეს განათლება კი იბადება ღვთის სიყვარულით, მაშინ სწორადაა ნათქვამი, რომ არაფერი არ არსებობს ღმრთის სიყვარულზე მაღალი“—გვმოძღვრავს წმინდა მაქსიმე აღმსარებელი.

ქრისტიანულ სამყაროს მრავალი წმინდანი ჰყავს, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითია ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნე ადამიანისთვის.

ასეთი გახლავთ წმინდა მაქსიმე აღმსარებელი, რომელმაც არაერთი ტანჯვა დაითმინა უფლისათვის, რადგან „უტარია კაცი, რომელიც არ მისდევს უღმრთოთა, რჩევას და ცოდვილთა გზას არ ადგას“. ჩვენი პატარა კუთხე, ლეჩხუმი, ღვთივკურთხეულია, მადლიანი, რადგან სწორედ აქ მურის კლდეკარშია წმინდანის ძვალსალაგი.

ღირსი მამის, მაქსიმე აღმსრულებლის ხსენების დღეს წელიწადში ორჯერ აღნიშნავენ ქრისტიანები 3 თებერვალსა და 26 აგვისტოს.

კიდევ ერთხელ იზეიმა ლეჩხუმმა წმინდა მაქსიმობა. უამრავი სტუმარი ეწვია წმინდანის საფლავს სალოცავად და სულის მეოხად.

საზეიმო წირვა ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა მეუფე სტეფანემ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში აღავლინა ბევრ სამწყოს წინამძღვართან ერთად. განსაკუთრებული მადლი ტრიალებდა იმ დღეს ტაძარში, წირვის აღსრულების შემდეგ ლოცვა-კურთხევით მრევლმა, ლიტანიობით, მურის ხეობაში, ღირსი მამის საფლავზე აგებულ პატარა ტაძარში გადაინაცვლა, სადაც მცირე პარაკლისი იქნა აღვლენილი.

საზეიმო დღე ტრაპეზით დასრულდა. ყველა მადლით მოსილი გახლდათ. წმინდა მაქსიმე გვფარავდეს თითოეულ ჩვენგანს.

ეკა ჯვირილიანი

მორიგი შეხვედრა მხარის გუბერნატორთან

2009 წლის 23 იანვარს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში მორიგი შეხვედრა შედგა მხარის გუბერნატორთან ბატონ **დავით გაგოშიძესთან**. შეხვედრას ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ესწრებოდნენ სოფლის რწმუნებულები, საკრებულოს დეპუტატები, სამსახურების ხელმძღვანელები. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ ასევე გუბერნატორის მოადგილე ბატონ **ამირან გარდაფხაძე** და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენელი **ალეკო გოცირიძე**.

შეხვედრაზე მოისმინეს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ **ზვიად მინდაძის,** საკრებულოს თავმჯდომარის ომარ ჭაბუკიანის ინფორმაციები ზამთრის პერიოდში მოსახლეობისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, მუნიციპალიტეტში ჩატარებული და დაუმთავრებელი, შემდგომში განსახორციელებელი სამუშაოებისა და ბიუჯეტის გამჭირვალობის თაობაზე.

ინფორმაციებით გამოვიდნენ და პრობლემების შესახებ ისაუბრეს—გ. ჩარკვიანმა (წიფურჩი), ბ. სილაგაძე (ჩხუტელი), თ. ბურჯალიანი (ალპანის), გ. ლეთოდიანი (ქვ. ცაგერის, ჟორა შეკიშვილი (უსახელო), ო. მიქაძე (აღვის) რწმუნებულებმა, მაია ბაბლუანი (პოლიკლინიკა), მ. თოთაძე (რაისაავადმყოფოს) დირექტორებმა, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა კ. ცხვედიანი და სხვა.

შეხვედრის ბოლოს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რწმუნებულმა ბატონმა დავით გაგოშიძემ, ვრცლად ისაუბრა გასული, 2008 წლის შედეგებზე, ზამთრის სიძნელეებზე და მომავალში განსახორციელებელ მთავრობის პროგრამებზე რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში, აღინიშნა, რომ მკვეთრად იზრდება სოფლის რწმუნებულების ავტორიტეტი და უფლებამოსილებანი, თითოეულ თემს მიეცემა გარკვეული თანხა, რომელსაც განკარგავს საჭიროების მიხედვით და თემის მოსახლეობის სურვილით, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სოციალურ მდგომარეობას და სოფლების ინფრასტრუქტურას. ბატონმა გუბერნატორმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავს რეგიონებზე: 1 მლნ 400 ათ. ლარი გამოყოფილია სოფ. ლასურიაშის ხიდის მშენებლობაზე, ჩატარდა ტენდერი და მალე დაიწყება ქალაქის წყალსადენის სამუშაოები, ასევე მთავრობა გეგმავს მუნიციპალიტეტისათვის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების შეძენას, სერიოზული ცვლილებები იქნება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით, უნდა დარეგულირდეს გამომცხვარი პურისა და ფქვილის საცალო ფასები, ანალოგიურად უნდა მოხდეს ტრანსპორტზეც, რადგანაც საწვავის ფასებზეც შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ფასდაკლება. ბოლოს გუბერნატორმა აღნიშნა, რომ მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, ჩვენ წინ გვაქვს საინტერესო პროგრამები და სამუშაოები, გველის აღმშენებლობის კიდევ უფრო მზარდი პოზიციები, რომ ჩვენ ყველას ერთი საერთო საქმე გვაქვს-ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას, ავაშენოთ ჩვენი სამშობლო.

ამით შეხვედრა დასრულდა

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ქვირფასო მკითხველო!

დღითიდღე ძალას იკრებს 2009 წელი. ვისურვოთ მშვიდობიანი ყოფილიყოს იგი, მხნეობას, ჯანმრთელობას, ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. ღმერთმა გაგაძლიეროთ თქვენ და გააძლიეროს სრულიად საქართველო.

„ახალი ლეჩხუმი“ სამართალმემკვიდრეა იმ რაიონული გაზეთის, რომელიც 1933 წლიდან გამოდიოდა ლეჩხუმში სხვადასხვა სახელწოდებით. მშვენივრად გვესმის რა ჩვენი პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე, ვცდილობთ გაზეთი იყოს მოვლენების შუაგულში, ქმნიდეს ლეჩხუმის ისტორიას, იყოს მისი ჭეშმარიტი მემატიანე, მართალი, ობიექტური სიტყვა მოვიტანოთ თქვენამდე, ჩავწვდეთ თქვენს ინტერესებს, სატკივარს, ლხინსა და ჭირს. გაზეთში ფიგურირებს არა ერთი აქტუალური თემა და რუბრიკა, რომელიც დადებითად მიიღოს მკითხველმა.

2008 წელმა ერთგვარად შეცვალა ჩვენი მუშაობის ჩვეულებრივი რიტმი. არა ერთი მასალა დაიბეჭდა ომის თემაზე, ჯარისკაცებზე, მიმდინარე მოვლენებზე.

და ეს ყველაფერი თქვენი თანადგომის, მხარდაჭერისა და ერთგულების შედეგია. მადლობა იმისათვის, რომ ასე ინტერესით ელოდებით ჩვენი გაზეთის თითოეულ ნომერს, მადლობა იმისათვის, რომ გვეხმიანებით და გვწერთ იმაზე, რაც ასე გაღელვებთ, პრობლემურია, გამოსასწორებელია, მიუღებელია. მადლობა, რომ გვენდობით და ჩვენი იმედი გაქვთ.

მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომელსაც კარგად ესმის რაიონული გაზეთის როლი და მნიშვნელოვნად და მიუხედავად დღევანდელი სოციალური ფონისა, სიძნელეებისა, ყველაფერს აკეთებს, რომ გაზეთი რეგულარულად გამოდიოდეს, ემსახურებოდეს საზოგადოების ინტერესებს, მადლობა მათ ფინანსური დახმარებისათვის, მორალური მხარდაჭერისათვის.

2009 წელს ჩვენი გაზეთი გვესახება უფრო ქმედითი, ოპერატიული, მიზანმიმართული.

შევეცდებით კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტი დავამყაროთ მკითხველთან, შტატგარეშე ავტორებთან, მეტი ვწეროთ სოფელზე, მის პრობლემებზე, ჩვენს საინტერესო ადამიანებზე, ლეჩხუმის წარსულზე. ისტორიაზე, მიგრაციის თემაზე, ახალგაზრდების დასაქმებაზე. პროფესიონალებზე, გაზეთი ფერცლებზე გამოჩნდება არა ერთი ახალი რუბრიკა და თემა, წარმოჩნდება არა ერთი ტაბუდადებული თემა.

და ეს ყველაფერი მიღწეულ იქნება ისევ და ისევ თქვენი და ჩვენი თანამშრომლობით, კიდევ უფრო ახლო კონტაქტით.

ვუცდით თქვენს წერილებს, გამოხმაურებას. გვირჩიეთ რაზე ვწეროთ, როგორ ვწეროთ. თქვენი ყოველი შენიშვნა, წინადადება, გნებავთ კრიტიკა მისაღები იქნება ჩვენთვის და გათვალისწინებული.

მაშ ასე! გაზეთი „ახალი ლეჩხუმი“ თქვენს სამსახურშია. ერთობლივი ძალისხმევით, გვერწმუნეთ, იგი უფრო მიზანმიმართული და ქმედითი გახდება.

რედკოლეგია

გიხაროდენ!

ღმერთს ამახ ჟეკერებით, საერთო ხურვილია
ქართველთ შენი იმედი არ მოაკლოს, ილია.
კურთხეული მამული ტანჯვა გამოვლილია,
ერის ხსნად და იმედად შენ იცოცხლე, ილია.

როცა ქვეყნის
ერთობის ბურჯი გამოშლილია,
შვილას შენგან მოველით, პატრიარქო ილია.
სად არ მიდის ქართველი, ქვეყანა დაცლილია.
მამულს თავის შვილები დაუბრუნე, ილია.

ქვეყნის კეთილდღეობა
შენთვის ხელზე ტკბილია.
როდის უნდა გვეშველოს, პატრიარქო ილია.
მომავალზე ოცნებით ქართველი დაღლილია,
უნდა თვალით იხილოს ცხოვრების იდილია.

ვაგლახ, ოხიც,
აფხაზიც ჰუტინის მორჩილია,
ღმერთი რატომ უწერებათ,
პატრიარქო ილია.
ძმას ვერაფერს ვაგონებთ, აზრი გაუოფილია,
მოვასის სიყვარული შენ მოეკმადღე, ილია.

რუსის მტრობით ქვეყანა ილიჯაწყვეტილია,
შენმა ლოცვა-კურთხევამ
უნდა გვიხსნას, ილია.
მშობლიური მიწიდან ქართველი აერილია,
დაბრუნების იმედი შენ მომადღე, ილია.

როცა მტერი მზაკვარი, მახვილამოწვდილია,
ამქვეყნიურ საამოთხეს მეოხ ყოვ, ილია.
ჩვენ რომ იმედს არ ვკარგავთ,
თქვენი დიდი წვდილია,
ქვეყნის ერთიანობა მოგვეულოცოს, ილია.

გიხაროდენ, ღმერთაცი ქვეყნის
ღვიძლი შვილი,
შენ გვიცოცხლე, უფალო, პატრიარქი ილია!

ინტერვიუ

«სახელმწიფოს აღმშენებლობას, მიუხედავად უამრავი სირთულისა, წინ ვერაფერი დაუდგება»

2008 წელმა ორი თვეა ჩაიარა, მუნიციპალიტეტის გამგებელთან, ბატონ ზვიად მინდაძესთან ინტერვიუ იმ მიზნით შედგა, წინა წლის შედეგები და სამომავლო გეგმები რომ გავვეხილა:

ბატონო ზვიად! როგორ შეაფასებდით გასულ წელს?

გასული წელი ჩვენი სახელმწიფოსთვის მოგეხსენებათ ურთულესი წელი იყო, ეს რაღა თქმა უნდა, პირდაპირ აისახა რეგიონებზეც, მაგრამ მიუხედავად ომისა და დაძაბული პოლიტიკური სიტუაციისა, 2008 წელს უამრავი წარმატებაც იყო. სახელმწიფოს აღმშენებლობა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა, პროექტები არ შეჩერებულა, არ დარღვეულა ცხოვრების რიტმი. ამ ფონზე თუ განვიხილავთ, ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრების ტემპიც შესაბამისობაში მოდიოდა სახელმწიფოს მაჯისცემასთან–აქაც ისევე ვგრძნობდით ომის ექოს, როგორც ცხინვალსა და გორში მცხოვრები ნებისმიერი ქართველი, ისევე გვტკიოდა, როგორც მათ. ამასთან ერთად ერთი წუთითაც არ შეგვიწვეტია ზრუნვა ჩვენს მოსახლეობაზე, თავის დროზე დარიგდა ხელფასები და პენსიები, ისევ შენდებოდა სოფლის გზები და ხიდები, წყალსადენები, თუმცა ომმა ასახვა მაინც პოვა, მაგალითად ცაგერის წყალსადენის მშენებლობაზე, (გაზაფხულზე დაიწყება სამუშაოები), რომელიც მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდს უნდა გაეკეთებინა, თუმც ეს ფული წეროვანსა და გორში ლტოლვილთა სახლების მშენებლობაზე დაიხარჯა. ასევე შეფერხდა სოფელ ლეშკედაში სტიქიისაგან დაზიანებული ხიდის აღდგენა, სოფ. წიფერჩში, მეშველიანების უბანშიც და სხვ.

ბატონო ზვიად! თქვენ წყალსადენი ახსენეთ. ეს ძალიან მტკივნეული თემაა ჩვენი ქალაქის მცხოვრებთათვის...

–საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი 2009 წელში მოახდენს ქალაქის წყალსადენის სრულ რეაბილიტაციას, ასევე ლასურიაშის ხიდის მშენებლობას მისასვლელი გზით, საგზაო დეპარტამენტი გეგმავს დასრულდეს ოფიტრის ხიდი, ჩაატარებს ჭილეშის ხიდის რეკონსტრუქციას, მდინარე ჯონოულზე მდებარე ხიდის სარემონტო სამუშაოებს. ადგილობრივი ბიუჯეტი კი გეგმავს (საქ. მთავრობა №34 ბრძანებულების საფუძველზე) გამოყოფილი 900. 000 ლარის ფარგლებში: ქ. ცაგერში კოსტავასა და აღმაშენებლის ქუჩებზე და სოფ. ლაჯანაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების შეკეთებას, ქ. ცაგერში და ქვ. ცაგერის ტერიტორიულ ერთეულში სანიაღვრე არხების მოწყობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების მოწყობა-რეაბილიტაციას, ცაგერის კანალიზაციის ქსელის შეკეთებას, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვას, ასევე ურნებისა და ნაგავმზიდი მანქანების შეძენას, ქ. ცაგერში ქუჩებისა და სოფლის ცენტრების გარე-განათების მოწყობას, ლ. ასათიანის სახლ-მუზეუმების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ლესინდის კლუბის აღდგენას, ქ. ცაგერში სპორტდარბაზის შენობის რემონტს, გალერიის მაღლივი ნაწილის სახურავის აღდგენას, ორბელის, ტვიშის და ლასურიაშის ტერიტორიული ორგანოს შენობების სარემონტო სამუშაოებს, სახანძრო-სამშენებლო სამსახურის შენობის სახურავის აღდგენას.

არსებობს საქართველოს მთავრობის №35 განკარგულებაც, რომლის საფუძველზეც ცაგერის მუნიციპალიტეტს 228.856 ლარი გამოეყო სოფლების მხარდაჭერის პროგრამისათვის.

ბატონო ზვიად! სწორედ ამ პროგრამაზე გვინდა გკითხოთ: რას ითვალისწინებს ეს პროგრამა და რა ბერკეტები არსებობს არსებული თანხის გამჭვირვალე ხარჯვასთან დაკავშირებით?

–აღნიშნული პროგრამა საქართველოში ხორციელდება პირველად, მას სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ჰქვია და საქართველოს მთავრობის მუშაობის უდიდეს წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელს გამოეყო გარკვეული თანხა 50 სულზე ქვევით 1000 ლარი, (ასეთი ორი სოფელია დოღურაში და კენაში), 50 სულზე კი 2.500 ლარი–ერთ სულზე 5 ლ. 60 თეთრამდე. ანუ ეს ფული იხარჯება როგორ–რწმუნებული, საკრებულოს დეპუტატთან ერთად იწვევს საერთო კრებას და სოფელი თვითონ გადაწყვეტს ხმათა უმრავლესობით რისი გაკეთება სურთ, რა არის პრიორიტეტი, ოღონდ ეს სამუშაო არ უნდა იყოს ერთჯერადი დახმარების სახით, ამის შემდეგ კრების ოქმები მოდის გამგეობაში, რომელიც უფორმებს ხელშეკრულებას. კონკრეტული პასუხისმგებლობა ამ ფულის ხარჯვაზე ეკისრება რწმუნებულსა და სოფლის დეპუტატს.

–იგეგმება თუ არა სკოლების რეაბილიტაცია?

–დიახ, იგეგმება. შეირჩევა ასეთი სკოლები და შეთანხმდება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და რესურსცენტრთან. ეს კი უფრო გაზაფხულიდანაა მოსალოდნელი.

–ბატონო ზვიდ! მიუხედავად უამრავი სირთულეებისა, ბიუჯეტი მივიღეთ. არის ეს ბიუჯეტი შესრულებადი და რეალური?

–დიახ! ის შესრულებადია და როგორც დაიგეგმა ისევე შესრულდება.

–არის თუ არა ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხები ცაგერის ეპარქიისათვის და ასევე მოსახლეობის სოციალური ფონის გასაუქმებლად?

–ბიუჯეტში ეპარქიისათვის გათვალისწინებულია 15 000 ლარი, ამით ჩვენ ვისტუმრებთ მაქსიმე აღმსარებლის მონასტრის ელექტროენეგიის გასული წლისა და მიმდინარე გადასახადებს, ასევე ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრისას, ყოველთვიურად გიმნაზიას ვურიცხავთ 400 ლარს, რომელსაც მგონი პედაგოგთა ხელფასებისათვის იყენებენ.

რაც შეეხება სოციალური ფონის გაუმჯობესებას–დაგეგმილია 15 000 ლარი ერთჯერადი დახმარებისათვის, რომელიც ყველაზე მეტად გაჭირვებულ პირებზე გაიცემა, ასევე ახალშობილთათვის გათვალისწინებულია 5 000 ლარის გაცემა.

ასევე მინდა მოსახლეობას ვუთხრა, რომ საგაზაფხულოდ ჩვენს მოსახლეობას დაურიგდება გვარჯილა, ოჯახზე 1 ტომარა.

ასე რომ, მიუხედავად უამრავი სირთულისა, სახელმწიფოს აღმშენებლობას წინ ვერაფერი დაუდგება!

–გმადლობთ, ბატონო ზვიად, წარმატებებს გისურვებთ.

მარინა სვანიძე

სულ სხვა თვალით დანახული...

ეს გოგონა საქართველოში 2005 წელს ჩამოვიდა პირველად, ლეჩხუმიც იმ წელსვე მოინახულა. ნებისმიერ შემხვედრს უმალვე უმეგობრდებოდა და ბარიერიც იმწამსვე იხსნებოდა... ბარიერი არა მარტო ენისა, არამედ უცხოტომელობისაც...

ელკე როელანტი–დაიბადა 1977 წლის 14 ივნისს ბელგიაში, სინტნიკლაუში. პროფესიად ფოტოგრაფობა აირჩია, საცხოვრებლად ამსტერდამი, სამუშაო ადგილად ამსტერდამის ხელოვნების აკადემია, სამუშაო მუზად, რამდენადაც გასაკვირი არ უნდ იყოს, ლეჩხუმი და ჩაფიქრებულ პროექტს, ანუ წიგნალბომის გამოშვებას, 2 წელინადი შესწირა.

პირველად ელკე ჩვენ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გავიცანით. მუზეუმის მაშინდელ დირექტორთან ომარ ჭაბუკიანთან ერთად რუდუნებით ეხებოდა მტვერდადებულ თითოეულ ნივთს ჩვენი წარსულისას, ხშირად იატაკზე თამამად გაწოლილი ფაქიზად იღებდა უამრავ ფოტოს და ინახავდა თანამედროვე აპარატის ფირებზე, დადიოდა მიუვალ ადგილებში, კლდესა და ღრეში, ისევ იღებდა ფოტოებს, ზოგჯერ ისეთებსაც, ჩვენ ხშირად ყურადღებას არც კი რომ ვაქცევდით და გაკვირვებით თუ დაეჭვებით ვილღებოდით მისი შემხედვარე.

შემდეგ ბრუნდებოდა ელკე თავის საცხოვრებელ ადგილზე და როცა მიგვავიწყდებოდა მისი მუშაობით დაღლილი, დაოფლილი შავგრემანი პირისახე, ისევ გამოგვეცხადებოდა ნაცნობი-უცნობივით... ისევ მოიმარჯვებდა ფოტოაპარატს და ისევ იღებდა ობიექტივში ჯონოულის ხეობას, ლაშიჭალას, ლადოს ბარნალასა და სკვერს, ბრინჯაოს მხედარს, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავს, მურის ძველ ციხეებს, ბავშვებს, შაოსან დედებს, ნომენკლატურულ ჩინოვნიკებს და ასე დაუსრულებლად... ერთი სიტყვით იღებდა ყველაფერ იმას, რასაც თვალი განვდებოდა. მერე შევიტყვეთ ცაგერზე და ცაგერელებზე წიგნის გამოშვებას გეგმავსო. ამასობაში კი ორი წელინადიც მიიწურა. თითქოს ელკეც მიგვავიწყდა თავის ფოტოობიექტივით...

რამდენიმე კვირის უკან ელკე როელანტი ისევ ეწვია ლეჩხუმს, ისევ გაგვიღიმა შავგრემანი პირისახიდან, თბილიდ, ქართულ-ჰოლანდიურად მოგვიკითხა და წიგნიც ჩამოგვიტანა, რომელსაც სადა ყდაზე ასევე სადად აწერია დიდი თეთრი ინგლისური ასოებით

–„ცაგერი–ნამყო და აწმყო".

ჩვენ მადლიერებას ვერ ვმალავდით. ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, რომ თურმე სპონსორებს კი არა, წიგნი ამ ქალბატონს თავისივე ხარჯით დაუბეჭდავს, რაც ევროპაშიც კი საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

ვინც წიგნს იხილავს, დამეთანხმებით, რომ სულ სხვა თვალით დაინახავს ჩვენს თანამოქალაქეებს, ტყეებს, მდინარეებს, ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თითოეულ ნივთსა და დეტალს, ჩვენებურ ჭირსა და ლხინს, ლადოს (წიგნის პირველ გვერდზე „ძველად აქ ჯარებს უხმობდნენ"-აა დაბეჭდილი), ლაშიჭალის სანახებს, მურის ძველ ხიდსა და ციხეებს, სუფრას... სწორედ ასეთი თანამიმდევრობითა და ასორტითაა დაბეჭდილი ეს ალბომი. თითოეულ ფოტოს ელკეს თბილი კომენტარები ახლავს თან.

გმადლობთ ელკე! გამადლობთ, რომ ლეჩხუმი ევროპას გააცანით, რომ ამდენი იწვალეთ ენერგიულად და არა მარტო... ფინანსურადაც... რომ სხვა თვალით დაგვანახეთ ცაგერლებს ცაგერი და ერთმანეთი.

P.S. მადლობის გარეშე ვერ დავტოვებთ ელკეს თარჯიმანს–მარის, სითბოსა და სილამაზის განსახიერებას.

ჩვენ ისევ გელით!

მარინა სვანიძე

პროტესტი

25 თებერვალს, ქალაქის ცენტრში, მანქანების საყვირებისა და ტრანსპარანტების ფონზე, მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ, წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა, ცაგერის საჯარო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა, წუთიერი დუმილით პატივი სცეს 1921 წლის 25 თებერვალს დაღუპულ იუნკერებსა და სამშობლოსთვის თავდადებულ გმირებს, პროტესტი გამოუცხადეს რუსეთის მრავალწლიან აგრესიასა და საქართველოსადმი მტრულ დამოკიდებულებას.

ამის შემდეგ პროცესმა ღვთისმშობლის სახელობის ცაგერის საკათედრო ტაძარში გადაინაცვლა, სადაც არქიმანდიტმა, მამა ანტონმა 25 თებერვალს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა, რომლის დასრულების შემდეგაც ქადაგებაში მრევლს მიმართა: „...არავის ეგონოს, რომ გმირების ისტორია წავიდა, გმირები დღესაც გვყავს. ზურაბ ეფაძის გმირობის გახსენებაც კი კმარა. ღვთის მადლით კიდევ გვეყოლება გმირები, თუ ეს ხვალ ჩვენს საქართველოს დასჭირდება".

ანალოგიური პროტესტის გრძნობა გამოხატეს ცაგერის სასამართლოს თანამშრომლებმა. ამავე სასამართლოს მოსამართლემ, ქალბატონმა ლეილა გურგუჩიანმა აღნიშნა, რომ 25 თებერვლის გმირთა პატივსაცემად მათი სახელობის სკვერის გაკეთებასაც გეგმავენ.

მარინა სვანიძე

მინიმალური გადასახადი — მინიმალური გადახდისუნარიანობა

წყალი სამყაროს სიცოცხლის პირველი წყაროა, ადამიანის სიცოცხლისთვის უპირველესი, წყლის გარეშე წარმოუდგენელია იარსებოს დედამიწაზე სულდგმულმა, იმისთვის, რომ იცოცხლო უნდა გქონდეს წყალი. ჩვენი ქალაქის სინამდვილეში კი ცარიელ ონკანებზე შემყურე მოსახლეობა, წყურვილის მოსაკლავად, მკვლავებდაკაპიწებულები კილომეტრებიდან ეზიდებიან სასმელ წყალს. უკმაყოფილებამ იმატა, რესურსი არის, წყალი არა.

ამ საკითხის ირგვლივ სასაუბროთ ვეწვიეთ ცაგერის კომუნალური სამსახურის დირექტორს ბატონ გოგი ბენიძეს.

როგორ ფუნქციონირებს ერთ დროს ყველაზე მოწესრიგებული დაწესებულება დღეისათვის?

ჩვენი სამსახურის ფუნქციებში შედის ქალაქის წყალმომარაგება, სასტუმრო, რომელიც მთლიანად დაკავებულია ლტოლვილებით, ნაწილობრივ ბინათმმართველობა, ნაწილობრივ, რადგან ბინების პრივატიზების შემდეგ ისინი ჩვენს მფლობელობაში აღარ შედის. გარეთა ფასადების, სახურავის შეკეთება პრივატიზებულ თუ არა პრივატიზებულ ბინებზე. ბინის გადასახადი კანონით დაწესებულია თითოეულ მეპატრონეზე, მაგრამ მოსახლეობა ამ თანხას ვერ იხდის, ამიტომ შენობის რესტავრაციისთვის საჭირო თანხებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფენ.

გარდა ზემოხსენებულისა ჩვენი სამსახურის ფუნქციებში შემოდიოდა გარე განათება, დასუფთავება, ბინათმმართველობა სრულად, კანალიზაცია–რომელიც ახლა აღარ გვეკუთვნის.

გყავთ თუ არა საჭირო რაოდენობის კადრები?

კომუნალურ სამსახურში კადრები არასაკმარისია, აქ თხუთმეტი ადამიანია დასაქმებული, ერთი შეხედვით შეიძლება ჭევრიაო იფიქროთ, მაგრამ ეს ასე არ არის, წყალსადენის მოძველებული სისტემა იწვევს ავარიულ მდგომარეობას, მის აღმოსაფხვრელად მუშახელიც ბევრია საჭირო, ჩვენს სამსახურს საავარიო სპეცჯგუფი არ ჰყავს, ამიტომ თვითონ ვცდილობთ პრობლემის მოგვარებას.

თანამშრომელთა ანაზღაურება კატასტროფულად მცირეა, 2008 წელს წინ წელთან შედარებით ბიუჯეტი შეგვიმცირდა 6000 ლარით. ისინი კი მუშაობენ იმაზე მეტს, ვიდრე მათი საქმიანობა მოითხოვს.

არის თუ არა პრობლემები და როგორ ახერხებთ მათ გადაჭრას?

პრობლემებს რა დალევს, როგორც ზემოთ აღვნიშნე მოძველებული წყალსადენის სისტემა ხშირად გამოდის მწყობრიდან. სასმელი წყლის მთავარი მაგისტრალი, რომელიც მთელ ქალაქს ამარაგებს წყლით, მურის ხიდის ქვეშ გადის. იანვარში მძიმე კლიმატური პირობების გამო მაგისტრალი გაიყინა და მთლიანად შეწყდა მთელს ქსელში წყალი. ამინდი საშუალებას არ გვაძლევდა მილები რომ გაგველღვო. რა ხერხს არ მივმართეთ, საბურავებიც კი დავწვით ყინვასთან საბრძოლველად. როგორც იქნა მოვხსენით მილი და სარემონტო სამუშაოებს ვაწარმოებდით ათი დღის განმავლობაში. ბოლოს შედეგსაც მივაღწიეთ, მაგისტრალი მუშა მდგომარეობაში ჩავაყენეთ, მდებარეობაც შევუცვალეთ, ახლა მისი ყოველდღიური კონტროლი შეიძლება, რისი საშუალებაც მანამდე არ გვეძლეოდა. ჩვენს სისტემაში არის უამრავი საჭიროება, რომელიც თანხებთან არის დაკავშირებული.

ზემდგომი ორგანოებიდან თუ არის დახმარება პრობლემების აღმოსაფხვრელად?

შეძლებისდაგვარად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა იძულებული არის თავისი მწირე ბიუჯეტიდან გამოყოს თანხები, რათა გადაიხადოს მოსახლეობაში წყლის მიწოდებით დროს დახარჯული ელექტროენერგიის საფასური. ამ თანხით ვახერხებთ სასმელი წყლით უზრუნველვყოთ აბონენტთა ნაწილი, დანარჩენს კი წყალი გათიშული აქვს.

ზამთარი და ჩვენი კომუნალური სამსახური

მოსახლეობაში ფულის ამოკრებას როგორ ახერხებთ?

ფულის ამოკრებისთვის არის სპეციალური კონტროლიორი, რომელიც კარდაკარ დადის მოსახლეობაში. თუმცა ამას თვითონ წყლის მომხმარებელი უნდა აკეთებდეს. მიდიოდეს კომუნალურში და იხდიდეს სააბონენტო გადასახადს, მინიმალურს–სულზე. ერთი ლარი. სამწუხაროდ, არც ერთი აბონენტი სასმელი წყლის საფასურის გადამხდელი არ არის. იანვარსა და თებერვალში კონტროლიორმა რამდენიმე ათასი მოსახლიდან მხოლოდ ცხრა ლარის ამოკრება შეძლო.

რას ეტყოდით ჩვენს მოსახლეობას?

მოსახლეობას ვურჩევდი გადაიხადონ სასმელი წყლის გადასახადი და თუკი ისინი ამას შეძლებენ, მე როგორც კომუნალური სამსახურის უფროსი ვაძლევ პირობას ჩემს აბონენტებს 24 საათის განმავლობაში ექნებათ სასმელი წყალი.

ეკა ბენდელიანი

დღევანდელობა და სკოლა

„ხელმძღვანელი, პირველ რიგში, სამართლიანი უნდა იყოს"

კარგა ხანია განათლების რეფორმაზე საუბრობენ. ბევრი სიახლე დაინერგა ამ სფეროში და კიდევ უფრო ბევრს გვპირდებიან. ნაწილი საზოგადოებისთვის მისაღებია და ამართლებს თავის პრინციპებს. აქედან გამომდინარე ბევრი ნიჭიერი, ენერგიული, საქმისადმი უსაზღვრო პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნება წამოიწია წინა პლანზე, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების მატარებელნი არიან. ასეთი გახლავთ სწორედ ჩხუტელის საჯარო სკოლის დირექტორი ირმა გუგავა.

—როგორი აღმოჩნდა თანამდებობა, იმაზე რთული ხომ არა ვიდრე გეგონათ?

—არასოდეს მიფიქრია თანამდებობაზე, კარგი მასწავლებლობა კი ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. გავიზარდე პედაგოგის ოჯახში და ამდენად ჩემთვის უცხო არ აღმოჩნდა ეს პროფესია. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მასწავლებელი ცოდნის, პატიოსნების, კულტურის განსახიერება იყო.

როცა ეს პროფესია მასიური გახდა, ამან რამდენადმე დასწია მისი პრესტიჟულობა, თუმცა შეგნებული ადამიანის ჩინებულად ესმის მასწავლებლობის სპეციფიკა, მისი შეუდარებელი სირთულე და განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნისათვის. მიმაჩნია, რომ როცა შენი პროფესია გიყვარს, იქ ყველანაირ სირთულეს ადვილად დაძლევ, მით უმეტეს, როცა შენს მშობლიურ სკოლაში ხარ და თითოეული კუთხე-კუნჭული შენს განვლილ ბავშვობას, მოსწავლეობას გაგონებს. პარალელებს ვავლებ ორი ათეული წლის წინანდელი სკოლის ცხოვრებას ახლანდელთან და ვფიქრობ, მიმესვლებოდა ამ სკოლაში.

—სკოლის პრობლემები... რა წარმოადგენს, ამ ეტაპზე, აუცილებელ საჭიროებას?

—ჩხუტელის სკოლა ყოველთვის მოწინავეთა რიგებში მოიხსენიებოდა. არსებობდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თვალსაჩინოება. ამ სკოლის კვალიფიციურმა კადრებმა დღემდე შეინარჩუნეს კლას-კაბინეტები ძველი იერ-სახით, მაგრამ წლებმა ბევრი პრობლემის წინაშე დააყენა სკოლა.

გასულ წელს მთლიანად გადაიხურა თანამედროვე ტიპის სახურავით, გაკეთდა ღია ტიპის სპორტული მოედანი გადმოგვეცა კომპიუტერული ტექნიკა (ყოველ 20 ბავშვზე 1 კომპიუტერი) მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არაა საკმარისი.

გასარემონტებელია ყველა საკლასო ოთახი და კაბინეტი. არ გვაქვს საკმარისი ტექნიკური საშუალებები, სასკოლო ინვენტარი თითქმის მწყობრიდანაა გამოსული. ჯერჯერობით მიმდინარე წლისათვის ამ მხრივ არანაირი იმედი არ გვაქვს, არადა სოფელში ერთი საჯარო სკოლაა, რომელიც ემსახურება ორ სოფელს. მიგრაციის პროცესი იმდენად საგანგაშოა პროცენტულად, რომ რამდენიმე წელში სოფელი სერიოზული პრობლემის წინაშე დადგება.

—როგორია მოსწავლეთა კონტიგენტი?

—დღეისათვის სკოლაში სიით 84 მოსწავლე ირიცხება. ეს ციფრი ნამდვილად საგანგაშოა.

—რას ფიქრობთ სკოლის რეფორმაში, რამდენად მისაღებია თქვენთვის ის, რაც დაინერგა და თქვენი ნება რომ იყოს რას შეცვლიდით?

—განათლების სისტემა სრულიად ახალ რელსებზე გადავიდა, კარგია, რომ დაიხვეწა სახელმძღვანელოები, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი გვთავაზობს მთელ რიგ მრავალფეროვან და პრაქტიკული ხასიათის წიგნებს,- რითაც მასწავლებლებს უქმნიან საგანმანათლებლო რესურსებს, კარგია, რომ 2001 წლიდან მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში დაიწყო მასწავლებელთა გადამზადება, საუბარია უსაფრთხო სკოლაზე, ბევრია მისაღები, მაგრამ რადგანაც საშუალება მომეცა, ვსარგებლობ შემთხვევით და არ შემიძლია არ აღვნიშნო, ღვთისმეტყველების სწავლება სავალდებულო უნდა იყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ვიტყვი იმასაც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფრო მეტ ყურადღებას უნდა იჩენდნენ მცირეკონტიგენტიანი სკოლების მიმართ, რადგან ამ ტიპის სკოლებს აქვთ მინიმალური ოდენობის ხარჯები, რითაც თითქმის არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, პრობლემა და გასაკეთებელი კი ძალიან ბევრია.

—რამდენად მისაღებია თქვენთვის მასწავლებელთა ტესტირება? აქვს რაიმე შედეგი?

—ძალიან კარგია, რომ მასწავლებლების პროფესიული მომზადებისა და განვითარების ახალ სქემაში ცენტრალურ ადგილს დაიჭერს ეროვნული სასერთიფიკატო გამოცდები. ჩააბარებს ამ გამოცდას მასწავლებელი?—მიიღებს მასწავლებლობის უფლებას.

ვსარგებლობ შემთხვევით და აღვნიშნავ, რომ დღეისათვის ნაკლებად არსებობს მეთოდები, რომელიც მასწავლებლის ცოდნას შეაფასებს. სამწუხაროდ, ბევრჯერ პედაგოგის ცოდნას აღიარება დამოკიდებულია უფრო მეტად მის საერთაშორისო თვისებებზე და ბევრად ნაკლებად მის ცოდნაზე.

სწორედ, აქედან გამომდინარე მიმაჩნია, სკოლის ხელმძღვანელი უნდა იყოს სამართლიანი, უმწიკვლო ზნეობის, ღვთის მოშიში და თავისი მშვიდი ბუნებით შეუქმნას მასწავლებლებს სასიამოვნო გარემო. წელს 13 მოსწავლე ამთავრებს, იმედი გვაქვს ისინი წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ზნეკეთილი, აქტიურ პიროვნებებად მოევლინებიან საზოგადოებას.

—გმადლობთ!

ეკა ყვირილიანი

გმადლობთ, მეუფევ!

სკოლამდელი სამსახურის დიდებმა და პატარებმა მოულოდნელი და ესოდენ საჭირო საჩუქრები მიიღეს ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის, მეუფე სტეფანეს კურთხევითა და გულისხმიერებით. თუმც აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი მადლიანი საქმე ჩვენი მწყემსმთავრის მხრიდან გასაკვირი და იშვიათი ნამდვილად არ არის...

გაზქურები, სხვადასხვა რბილი ინვენტარი შეემატა ჩვენი პატარების მოვლა-პატრონობის იმ საპატიო საქმეს, რომელსაც წლების მანძილზე ემსახურება სკოლამდელი აღზრდის სამსახური. საჩუქრები მიიღო ასევე ცაგერის მოსწავლეთა-ახალგაზრდობის სახლმაც.

დიდი მადლობა გვინდა გითხრათ მეუფეო, ამ ღვთისნიერი საქმისათვის.

ღმერთმა მრევლი გიმრავლოთ!

მ. ბურჯალიანი,
ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების სამსახურის ხელმძღვანელი

ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ!

ულამაზესი სოფელია ნაკურალეში. იგი ამაყობს თავის წარსულით, ისტორიით, უნიკალური ეკლესიით და რაც მთავარია, მის უბეში გამოზრდილი სახელოვანი შვილებით: გოლეთიანებით, სვანიძეებით, ყურაშვილებით...

იყო დრო, სოფელში სიცოცხლე დუღდა, მრავალშვილიანი ოჯახები ამაგრებდნენ ფუძეს—სკოლაც იყო, აფთიაქიც,- ყველაფერი, რაც ჰაერივით საჭიროა სოფლისთვის.

დღეს ნაკურალეში ისევე როგორც ბევრი მაღალმთლიანი სოფელი, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას. ერთადერთი იმედი საექიმო უბანია და ამ უბნის ახალგაზრდა ექიმი მალხაზ სვანიძე.

მალხაზის დედმამა—ელეონორა და დიდიმ სვანიძეები პედაგოგები გახლდათ. ვინ მოთვლით, რამდენი თაობა აღუზარდიათ ამ არაჩვეულებრივ ცოლ-ქმარს. და რა გასაკვირია, რომ მათი შვილი მალხაზი სოფლის, მოკეთის, მეზობლის სიყვარულითა და ერთგულებით აღეზარდათ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ახალბედა ექიმმა მუშაობა მალევე დაიწყო. წინ საუკეთესო პერსპექტივა ჰქონდა. მაგრამ მშობლებს წლები მოეძალათ, ჯანმრთელობაც შეერყათ და არც დაფიქრებულა, ისე დაბრუნდა სოფელში. უბნის ექიმად დაიწყო მუშაობა, მშობლებსაც ხედავდა და სოფელსაც იმედად დაუდგა.

მშობლები რომ გარდაიცვალნენ, შვილმა ვერც საფლავების მიტოვება იკადრა და ვერც კერიის გაციება.

და აგერ უკვე წლებია ემსახურება ნაკურალეშის უბანს. არაჩვეულებრივ პროფესიონალს და გულისხმიერ პიროვნებას სიყვარულით მოიხსენიებს სოფელი. ღმერთმა მხსნელად მოგვივლინაო ამბობენ მასზე. მალხაზი ერთდროულად თერაპევტიცაა, პედიატრიც, ქირურგიც. მის მიერ დასმული დიაგნოზი ზუსტია და შესაბამისად მკურნალობაც—სწორი.

არადა, რამდენი შემოთავაზება ჰქონდა და აქვს დღესა—გნებავთ ქალაქში, გნებათ რაიონში, მაგრამ ჩვენი ექიმი არსად აპირებს, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით... მშვენივრად გვესმის, რომ მისი ნიჭის პატრონს ნამდვილად შეუძლია უფრო კეთილმოაწყოს პირადული ცხოვრება.

დღენიადაგ ღიაა ექიმის კაბინეტი ჩვენთვის, შეჭირვებული ადამიანებისთვის, კარდაკარაც ბევრს დადის ჩვენი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადარჩენისათვის.

სოფელმა მშვენივრად იცის კაცობის, პროფესიონალიზმის, სიყვარულის დანახვა და ეს პატარა წერილიც სიყვარულითაა სიყვარულის წილ თქვენი პაციენტებისაგან, ჩვენო გულისხმიერო ექიმო!

ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ!

მარადი ყურაშვილი
სოფ. ნაკურალეში

რედაქციისაგან: ჩვენ არა ერთხელ გვსმენია მალხაზ სვანიძეზე—მის პროფესიონალიზმზე, პიროვნებაზე, ვუერთდებით მადლიერ სოფელს და მადლობას ვუხდით ყველაფრისათვის. ჩვენი გაზეთი შეეცდება უფრო ფართოდ გააცნოს მკითხველს ახალგაზრდა მკურნალის საქმიანობა.

მუხა

(ჩანახატი)

იდგა იგი სოფლის შუაგულში ვითარცა ძლიერების სიმბოლო, წარსულის უტყვი მოწმე. ვეებერთელა ტოტებით ცის ლაჟვარდს სწვდებოდა. იდგა და ამაყობდა, რომ ასე ალამაზებდა ირგვლივ ყველაფერს, მის ჩრდილქვეშ მუხლს შეასვენებდა გამვლელ-გამომვლელი, წყაროს დაეწაფებოდა, მუხის სიძლიერეს და ფესვებს დალოცავდა.

ვინ არ მოეშურებოდა აქითკენ—მოხუცი თუ ახალგაზრდა —სადღეგრძელოც ბევრი უთქვამს ბუნებაზე, საქართველოზე, „მუმლი მუხასაოც“ უმღერიათ...

არავინ იცოდა რა ხნისა იყო ეს ფესვებმადლიანი. ასეთი ახსოვდა ყველას, უხუცებსაც და მათ პაპის პაპასაც...

იდგა მძლე მუხა და ლაღი შრიალით ჩურჩულებდა სოფლის ისტორიას. მედგრად იცავდა სოფელს მეწყრისგან, ატეხილ ქარს ღრიალით ეხეთქებოდა და საკუთარი გულ-მკერდით იცავდა.

ერთ მშვენიერ დღეს მუხას ახალგაზრდების ჯგუფი უახლოვდებოდა, სიხარულით ცას ეწია კეთილ სტუმრობას ჩვეული, მაგრამ...

ბარბაროსები ნაჯახებითა და ხერხით ეკვეთნენ მუხას და რამდენიმე წუთში გულაღმა დააგდეს, გული გაუპეს, სხეული დაუჩეხეს, ასო-ასო აკუწეს და მანქანაზე შეტვირთეს. თვალის დახამხამებაში უკაცრიელი გახდა ირგვლივ ყველაფერი, გაქრა ძლიერება და სილამაზე, გაქრა სიცოცხლე.

უხმოდ იცრემლებოდა ბებერი მუხის ფესვები, უხმოდ კვნესოდა.

მაგრამ, ღმერთო, დიდებულო! ფესვებიდან ამოზრდილი პაწია, უმწეო, დედიშობილა, ობოლი ყლორტი შევნიშნე. ქარი აქით-იქით არხევს, რა ბედი ელის ნეტავ?

ამ ჯიშსა და გენს გადაშენება არ უწერია!—ჩამესმა შინაგანი ხმა.

მ. ილიკოშვილი

გვწერენ

ძვირფასო რედაქცია!

ვიცით, არა ერთხელ დაწერეთ, მაგრამ უშედეგოდ.

ძალიან გთხოვთ ერთხელ კიდევ დააფიქსიროთ ჩვენი თხოვნა.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს პატარა ქალაქში თითქმის ყველაფერი შეგიძლიათ შეიძინოთ გარდა წიგნისა. ვითომ ლეჩხუმელს წიგნის სიყვარული აკლია? ან წიგნით ვაჭრობა სარფიანი საქმე არაა.

ვიცით, რომ გამოდის არა ერთი ჟანრის წიგნი, ლიტერატურაში შემოვიდა არა ერთი ახალი მწერალი, პოეტი, ჩვენც გვაინტერესებს მათი გაცნობა, მაგრამ მიუწვდომელია ჩვენთვის ეს ავტორები.

გაგებით ვეკიდებით იმას, რომ ფასები არასახარბიელოა, მაგრამ ჭეშმარიტი მკითხველი ბევრ რამეს მოიკლებს და წიგნს აუცილებლად შეიძენს.

გთხოვთ სავაჭრო ობიექტებს: შემოიტანეთ წიგნები! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აუცილებლად შევიძენთ და გავიხარებთ, თქვენც იხეირებთ.

იფიქრეთ ამაზე!

მკითხველი

გაგვიცინოთ?

აფთიაქში:

–თუ შეიძლება წნევის დამწევი საშუალება მომეცით?

–ინებეთ!

–კი მაგრამ, გუშინაც ვიყიდე და, დღეს ასე ძვირი?

–არ ისმენთ ქალბატონო, ფასების რყევებზე ყოველდღე რომ საუბრობენ?

–ვისმენ, ვისმენ! ამიტომაც მერყეობს ჩემი წნევა ასე საშინლად.

***

სოფელში დიდთოვლობისგან დაზიანებულ სადენებს ცვლიან, ბოძებს ასწორებენ, მრიცხველებს აკონტროლებენ...

–კი მარა, ახლა მაინც სად არის ეს ელექტროკომპანიაა თუ რაღაც ჯოჯოხეთი–ბუზღუნებს ბოძზე შესული ვითომ მონტიორი.

–ბიჭო! შეუშვი მაშ თავში. მათი მოვალეობა მხოლოდ ფულის ამოქაჩვა და დენის გათიშვაა!

***

მარშუტკაში გათოშილმა მგზავრმა მეტი ვეღარ მოითმინა და მძღოლს მიუბრუნდა:

–ჩართეთ თუ შეიძლება ღუმელი:–გავიყინეთ ხალხი!

–ჩართულია, მაგრამ არ თბება. გარეთ მაგარი ქარ-სუსხია და იმიტომ.

–გასაგებია. ალბათ აგვისტოზეა გათვლილი–ჩაიბუზღუნა მგზავრმა და ბეწვიან საყელოში ბოლომდე ჩამალა თავი.

სიახლე „სახალხო აფთიაქი“

ჩვენი ქალაქი დამეთანხმებით არც ისე დიდია, რომ მის წიაღში გაჩენილი სიახლე ვერ შეამჩნიო. აქ ყველა ერთმანეთს იცნობს და ლხინსა თუ ჭირში ერთად დგანან.

ქალაქის განაპირას, საავადმყოფოს მოპირდაპირე ქუჩაზე ლამაზი და თანამედროვე ინტერიერით დამშვენებული პატარა შენობა წამოიმართა. კარგა ხანს გულდაგულ ალამაზებდნენ, ბოლოს კი „სახალხო აფთიაქის“ ფილიალი გახსნეს და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ **ტარიელ თვარაძეს** ვთხოვეთ, დაწვრილებით მოეყოლა აღნიშნულ სიახლეზე, აი, რა გვიამბო მან:

„ჩემი უშუალო ჩარევითა და მონდომებით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ფონის გასაუბჯობესებლად, შემოვიყვანე სპონსორი შპს „სახალხო აფთიაქის“ კომპანიიდან. ამ კომპანიის პრეზიდენტის, ბატონი **ვალერი კვარაცხელიას** მონდომებითა და ძალისხმევით ჩვენს სინამდვილეშიც დაინერგა ეს სასიკეთო სიახლე. აფთიაქის ქსელში შემოტანილია თითქმის ყველა ის მედიკამენტი, რომელიც იყიდება რესპუბლიკის სააფთიაქო ქსელში, კოსმეტიკური საშუალებები, პირადი ჰიგიენის ნივთები და ა.შ. განსაკუთრებული შეღავათები ვრცელდება პედაგოგებისა და სოციალურად დაუცველი (სიღატაკის ზღვარი) მოსახელეობისათვის, აგრეთვე იმ პირებისათვის, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა სადაზღვეო კომპანიებში არიან დაზღვეულნი. სახალხო დაზღვევაში დაზღვეულებს კი საშუალება აქვთ ისარგებლონ 17%-იანი ფასდაკლებით, შეღავათები ვრცელდება ომის ვეტერანებზედაც, 10%-იანი ფასდაკლებაა ექიმებზე. აფთიაქი სადღეღამისოა და დროის ნებისმიერი მონაკვეთში შეუძლია კლიენტებს მისით სარგებლობა, მომსახურეობას კი კვალიფიციური თანამშრომლები (1 პროვიზორი და 3 ფარმაცევტი) გაგიწევენ. თითოეულმა მათგანმა ქ. თბილისში გაიარა სტაჟირება და სპეციალური სერთიფიკატები აიღეს, მოწესრიგებულია კომპიუტერული სისტემა, რაც ეფექტური და სწრაფი მუშაობის გარანტს იძლევა. ახლადგახსნილმა აფთიაქმა მართალია სერიოზული კონკურენცია გაუწია მუნიციპალიტეტში სხვა ადრე გახსნილ აფთიაქებს, მაგრამ აქ ცუდს ვერაფერს ვხედავთ, რადგან ესეც ჩვენი მოსახლეობისთვის სასიკეთო შედეგის მომტანია ფასების ცვალებადობის თვალსაზრისით.

ანალოგიური აფთიაქის ფილიალის გახსნა იგეგმება ლანჯურის ხეობაშიც, თუ რა თქმა უნდა იქნება ხალხის მოთხოვნა.

„სახალხო აფთიაქის“ ქსელი, ეს არის უდიდესი კომპანია, რომელიც სრულ პასუხისმგებლობას იღებს წამლის ხარისხისა და ვარგისიანობაზე. მედიკამენტები შემოდის სხვადასხვა ქვეყნებიდან, კონტროლდება ჩვენს საბაჟოზე და მოწმდება ლაბორატორიულად.

აფთიაქის წამლებზე ფასდაკლებითა და მომსახურეობით სარგებლობა შეუძლიათ ასევე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასაც.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ინტერვიუს მომენტისათვის, შპს „სახალხო აფთიაქი“ თითქმის ერთი თვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსნილია და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისმა არსებობამ გაამართლა!“

ბატონ ტარიელთან საუბრის შემდეგ, ჩვენ, ჩვენი საკუთარი თვალით და ყურით გადავამოწმეთ ნაამბობი და სიკეთეები საკუთარი თავზეც ვიწვნიეთ. მერე აფთიაქიდან გამოსულ კლიენტებსაც გავესაუბრენ და გასაოცარი ის იყო, რომ პრეტენზიულ ლეჩხუმელებში ერთი განაწყენებული მომხმარებელიც კი ვერ ვიპოვეთ. თითოეული მათგანი ხმამაღლა აღნიშნავდა, რომ ეს იყო ნაღდად სასიამოვნო და სასიკეთო სიახლე.

წარმატებებს ვუსურვებთ ამ საქმის მესაკუთრეებს.

მარინა სვანიძე

დადგენილება №34

ქ. თბილისი 2009 წლის 20 იანვარი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ.

1. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოუყოს 66 000 000 (სამოცდაექვსი მილიონი) ლარი №1 №9 დანართების შესაბამისად.

2. განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელონ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში რწმუნებულებმა, გუბერნატორებმა, სახელმწიფო მინისტრმა რეგიონული მართვის საკითხებში და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას 900 000 (ცხრაასი ათასი) ლარი შემდეგი პროექტების განსახორციელებლად.

ა) ქ. ცაგერში კოსტავასა და აღმაშენებლის ქუჩებზე და სოფელ ლაჯანაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახელობის სახურავებისა და ფასადების შეკეთება;

ბ) ქ. ცაგერში და ქვ. ცარგერის ტერიტორიულ ერთეულში სანიაღვრე არხების მოწყობა;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების მოწყობა-რეაბილიტაცია;

დ) ქ. ცაგერის კანალიზაციის ქსელის შეკეთება,

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვა;

ვ) სანაგვე ურნების და ნაგავმზიდი მანქანის შეძენა;

ზ) ქ. ცაგერის ქუჩებისა და სოფლის ცენტრების გარეშე განათების მოწმობა;

თ) ლ. ასათიანის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ი) ლესინდის კლუბის შენობის აღდგენა;

კ) ქ. ცარეგში სპორტული დარბაზის შენობის სარემონტო სამუშაოები;

ლ) ქ. ცაგერში გალერეის შენობის მაღლივი ნაწილის სახურავის აღდგენა,

მ) ორბელის ტერიტორიული ორგანოს შენობის სარემონტო სამუშაოები,

ნ) ლასურიაშის ტერიტორიული ორგანოს შენობის სარემონტო სამუშაოები;

ო) ტვიშის ტერიტორიული ორგანოს შენობის სარემონტო სამუშაოები;

პ) სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის სახურავის აღდგენა.

პრემიერ-მინისტრი

გრიგოლ მგალობლიშვილი

დადგენილება №35

ქ. თბილისი 2009 წლის 20 იანვარი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ.

1. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მათ შემადგენლობაში არსებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად გამოუყოს 19 998 876 (ცხრამეტი მილიონ ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი ათას რვაას სამოცდათექვსმეტი) ლარი ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მუნიციპალიტეტის გამგეობა უზრუნველყონ პირველი პუნქტის იმხედვით გამოყოფილი თანხის წარმართვა გამგეობის რწმუნებულების მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციულ ერთეულებში ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციის ან / და კეთილმოწყობის პირველი რიგის სამუშაოების დასაფინანსებლად. აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია გამოყოფილი თანხის გაერთიანება ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ დასახლებათა საერთო ინტრესების შესაბამისად.

3. განკარგულების შესრულების კონტროლი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს სახელმწიფო რწმუნებულებმა-გუბერნატორებმა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეგიონული მართვის საკითხებში დ. ტყეშელაშვილმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

პრემიერ-მინისტრი

გრიგოლ მგალობლიშვილი

ცაგერის მუნიციპალიტეტი

№	ტერიტორიული ორგანო	№	სოფელი
1	ქ. ცაგერი	1	ქ. ცაგერი
2	ტვიში	2	ტვიში
		3	ლახეფა
		4	ორხვი
		5	ქორენიში
3	ალპანა	6	ალპანა
		7	აჭარა
		8	ზოგიში
		9	ცაგერა
4	ლაილაში	10	ლაილაში
		11	თაბორი
		12	სურმუში
		13	ღუ
5	ღვირიში	14	ქვემო ღვირიში
		15	ზემო ღვირიში
		16	უცხერი
		17	ნასპერი
		18	სანორჩი
6	ნაკურალეში	19	ნაკურალეში
		20	ცხუკუშერი
7	უსახელო	21	უსახელო
		22	ხოჯი
8	ორბელი	23	გაგულეჩი
		24	ლაჯანა
		25	ორბელი
		26	კურცობი
		27	წილამიერი
9	სპათაგორი	28	სპათაგორი
		29	ლეშკერა
		30	ლაცორია
10	საირმე	31	ზემო საირმე
		32	ქვემო საირმე
11	ჩხუტელი	33	ჩხუტელი
		34	ლასხანა
		35	დოღურაში
12	ლახურიაში	36	ლასურიაში
		37	მახაში
		38	დეხვირი
		39	ლესინდი
13	აღვი	40	ქვემო აღვი
		41	ზემო აღვი
		42	შუა აღვი
		43	კენაში
14	ოყურეში	44	ოყურეში
		45	ოფიტარა
15	ზუბი	46	ზუბი
		47	ისუნდერი
		48	მახურა
16	წიფერჩი	49	ბარდნალა
		50	წიფერჩი
		51	ლარჩვალი
17	ჩქუმი	52	ჩქუმი
		53	ქულბაქი
18	ლუხვანო	54	ქვემო ლუხვანო
		55	ზემო ლუხვანო
		56	ზარაგულა
19	ქვემო ცარგერი	57	ქვემო ცარგერი
		58	ჭალისთავი
		59	გვესო

ვარაღებულ ჩიქოვანი-ლეჩხუმელი მოჭადრაკე

ხსოვნა

ჭადრაკი ლეჩხუმში ოდითგანვე იყო ცნობილი. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან ჭადრაკის თამაში მიღებული იყო ლეჩხუმელ დიდგვაროვანთა ოჯახებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის შვილებს ნიკოს და ანდრიას, რომელთაც საზაფხულო რეზიდენცია ჰქონდათ მურში, როგორც ცნობილია, ანდრია საქვეყნოდ აღიარებული მოჭადრაკე იყო და დედასთან ერთად ხშირი ურთიერთობა ჰქონდა ლეჩხუმთან. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ენკენობა, რომელიც ცაგერის ბაზრობის სახელით იყო ცნობილი ჭაბუკი ლადო ასათიანის დროს ანიკო დადიანის სახელთან არის დაკავშირებული.

იმის საილუსტრაციოდ, რომ მეცხრამეტე საუკუნის ლეჩხუმში ჭადრაკის თამაში დიდი მოწონებით სარგებლობდა და საყოველთაოდ იყო მიღებული შესანიშნავ მასალას გვაწვდის კარგად ცნობილი ლეჩხუმელი კომპოზიტორი, მომღერალი და მკვლევარი შოთა ჩაკვეტაძე თავის შესანიშნავ წიგნში „სიმღერამ გითხრას“. წიგნის 68-ე გვერდზე დაბეჭდილია უნიკალური ფოტო ორი იმდროინდელი მოჭადრაკის გამოსახულებით. ერთი მათგანი გახლავთ ცნობილი უცხერელი თავადი ვარადებულ ჩიქოვანი, ხოლო მეორე– ინჟინერი გიორგი ბებურიშვილი. ვარადებულ ჩიქოვანის შთამომავალი ზურაბ ჩიქოვანი ცნობილი ექიმია და თბილსში მოღვაწეობს, მის სასახელოდ უნთა ითქვას, რომ ეს ისტორიული მასალაც მის ოჯახურ არქივში აღმოჩნდა.

ახლა გიორგი ბებურიშვილის შესახებ, ლეჩხუმში ყველამ იცის ბებურიშვილის წყარო, რომელიც ორპირში, ლაჯანურის ულამაზეს ხეობაში ორბელი-ალპანა ქუთაისის საავტომობილო გზის მახლობლად მოჩუხჩუხებს და ათასობით ადამიანისათვის მოუკლავს წყურვილის გრძნობა. მაგრამ ბევრს უკვირს და ყველამ როდი იცის, საიდან მიიღო წყარომ ბებურიშვილის სახელი, ამ საიდუმლოს გასაღებაც შოთა ჩაკვეტაძის წიგნი იძლევა, საიდანაც ვგებულობთ, რომ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ინჟინერ გიორგი ბებურიშვილს გაუყვანია ქუთაისი-ონისა და ქუთაისი-ორბელის საავტომობილო გზები. სწორედ მას ეკუთვნის ორპირის ქარაფებში მოჩუხჩუხე უკვდავების წყაროს აღმოჩენისა და კეთილმოწყობის პატივი. მადლიერმა შთამომავლობამაც მართებულად დაანათლა წყაროს ამ ღვაწლმოსილი მამულიშვილის გვარი და ამით სამარადისოდ უკვდავყო მისი სახელი.

ო. ჭაბუკიანი

ვაჟა ჭამუკიანის გახსენება

თავისი მაღალი ინტელექტითა და გამორჩეული ადამიანური თვისებებით ვაჟა ჭაბუკიანს კარგად იცნობდა ყველა ლეჩხუმელი. მას უარმავი მეგობარი და დამფასებელი ჰყავდა საქართველოს ყველა კუთხეში. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ მისი თაობის იურისტებს შორის ვაჟა ყველასაგან გამოირჩეოდა თავისი მაღალი ნიჭიერებითა და მრავალმხივი განათლებით, იურისპრუდენციასთან ერთად სიღრმისეულად ჰქონდა შესწავლილი თავისი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა. შეეძლო მიმზიდველად ესაუბრა ქვეყნის სახელოვან წარსულსა და თანამედროვეობაზე. როგორც პროფესიონალი, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეტალონი იყო ახალგაზრდა იურისტებისათვის.

ვაჟას დიდხანს მოუხდა მუშაობა პროკურატურასა და სასამართლოში. ვინც ვაჟას იცნობდა, კარგად იცოდა, რომ ის კანონსა და კანონიერებას არ დაარღვევდა. ის იმდენად ჰუმანური ადამიანი იყო, რომ არაკეთილმსურნეც რომ ჰყოლოდა, მის აზრს უთუოდ გაითვალისწინებდა და ანგარიშს გაუწევდა. მთავარი, არსებითი, რაც მას თავისი თანამედროვეებისაგან გამოარჩევდა, იყო კაცთმოყვარეობაზე დაფუძნებული უშუალო და და მოყვასის უსაზღვრო სიყვარული.

იმ დიდი სამეგობროდან, რომელიც მასთან იყო დაახლოებული, ცოტამ თუ იცოდა, რომ ვაჟა ჭაბუკიანი გატაცებული იყო პოეზიით. იცოდა მრავალი ზეპირი გადმოცემა თავისი მშობლიური კუთხის შესახებ და წერდა შესანიშნავ ლექსებს, მისი ვრცელი ისტორიული პოემა, რომელიც ერთი დიდი ქართველის სახელოვან ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება, ჯერ კიდევ არ გამოსულა დღის სინათლეზე. ვისაც ამ დიდი ეპიკური ნაწარმოების გაცნობის საშუალება მიეცემა, არ გაუჭირდება იმის წარმოდგენა, ვინ დაკარგა ლეჩხუმმა და სრულიად საქართველომ ვაჟა ჭაბუკიანის სახით.

პირად ცხოვრებაში ვაჟა მეტად უპრეტენზიო და თავმდაბალი ადამიანი იყო. რა დამავიწყებს მის ლამაზ სახეს და სიკეთით გაბრწყინებულ თაფლისფერ თვალებს, მართლაც ბუნების დიდ ცოდვად უნდა ჩაითვალოს, რომ ეს შესანიშნავი ადამიანი, ლეჩხუმის ნამდვილი კოლორიტი დღეს ჩვენს შორის აღარ არის. მუხთალმა ბედმა სიცოცხლეშივე დიდი გვემა მიაყენა მის სხეულსა და სულს, სოფლის უმადურობამ მძიმედ ტრავმირებული ვაჟა ფიზიკურად გატეხა, მაგრამ ღმერთმა გააძლებინა. გააძლებინა ახლობლებისა და მეგობრების უსაზღვრო სიყვარულმა და თანადგომამ.

ვაგლახ, რომ ბოლოს ყოვლისშემძლე სიკვდილმა ვაჟა ჭაბუკიანსაც სძლია. მიმდინარე წლის იანვარში ეს ნათელი კაცი ხორციელად წავიდა ჩვენგან, მაგრამ დატოვა შესანიშნავი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები, რომლებიც, მეგობრებთან ერთად, მის სახელს, საქმესა და ხსოვნას დავიწყებას არასდროს მისცემენ ამინ!

ო. ჭაბუკიანი

მილოცვები

თამარ დავითულიანს და თენგიზ სილაგაძეს!

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული, სიხარული, ჯანმრთელობა და შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ!

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

გაზეთი „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია

***

თამარ დავითულიანს და თენგიზ სილაგაძეს!

გილოცავთ შეუღლებას!

ყოველივე კარგსა და საუკეთესოს გისურვებთ! იხარეთ და იმრავლეთ!

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა.

***

მარიკა ბენდელიანს, გაგა ლარცულიანს

გილოცავთ ბედნიერებას!

სიყვარული და სიხარული ნუ მოგაკლოთ უფალმა ღმერთმა!

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა

ყური მიუგდით სიბრძნეს

თუ მთელმა ერმა გამარჯვემა არ მოინდომა, მას მაინდინელიც ვერ გაამარჯვემინემს.

ჯ. გამსახურდია

***

ერი თავის გმირემში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის ხიფსა და მაგალითს.

***

თავისუფლემის პოვნას
სჯობს საშოვნელსა ყოველსა.

***

მოიძენელთა თათბირი არც ერთ მეფეს არ გამოსდგომია

***

მე საქართველო არ მინახავს ჯერ ასეთი ცრემლემამრავალი და მეტრული სულით სორცამდე.

როინ კოპალიანის ხსოვნას

ჩვენში უკანასკნელი დღეების განმავლობაში იმდენი ტრაგედია მოხდა, კიდევ თუ შეგვაძრწუნებდა რამე აღარ გვეგონა... შენმა გარდაცვალებამ კი შეგვძრა როინ!—სინდისის, ნამუსის; პატიოსნებისა და სათნოების განსახიერებავ!

როინ კოპალიანი დაიბადა 1962 წელს, 1995 წელს დაამთავრა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. 1986 წელს მუშაობა დაიწყო ჩხუტელის საშუალო სკოლაში სახვითი ხელოვნებისა და ხაზვის მასწავლებლად.

2007 წლის 1 იანვრიდან მუშაობდა ცაგერის სამხატვრო სკოლაში პედაგოგად, 1998 წელს სკოლის დირექტორის მოვალეობასაც ასრულებდა.

დადიოდა, დააბიჯებდა, სიკეთეს თესდა ირგვლივ, პატიოსნების კრედო იყო, მოსწავლეებს მშვენიერებას აზიარებდა, მეგობრებს სითბოს უნაწილებდა, თავისი პაწაწინა შვილით ხარობდა, მაგრამ ტრაგიკულმა შემთხვევამ შეწყვიტა მისი ამქვეყნიური ცხოვრება, მგლოვიარედ დაგვტოვა ბავშვებიც, კოლეგებიც, მოხუცი დედა და ცოლ-შვილი.

შენთვის ვილოცებთ, იქ ყოფნას გაგიადვილებთ, მეტი რაღა შეგვიძლია გაგიკეთოთ... შენ კი იქიდან მოგვეხმარე უშენობა რომ გადავიტანოთ.

ცაგერის სამხატვრო სკოლა

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზეფინარ ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
მკა ყვირილიანი
მარინა სვანიძე
მკა ბენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხიმლი ენ“-ის სტამბაში
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 23711, 23499